ეთიკის კომისიის

ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.06.2017

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 014/17

შეკითხვა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატთა ასოციაციის წევრი მოქმედებს როგორც ადვოკატი და ის არღვევს ვალდებულებას, კერძოდ მას უნდა შეასრულოს კონკრეტული სახის მომსახურება და არ ასრულებს, ხოლო შესრულებას ავალდებულებს მის სტაჟიორს, თანამშემწეს, რომელსაც არ აქვს საკმარისი კვალიფიციურობა საქმის შესასრულებლად, არის თუ არა ეს პროფესიული ეთიკის რომელიმე პრინციპის დარღვევა?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილი: "ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით."

„ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-11 მუხლის 1-ლი ნაწილი: "ეთიკის კოდექსის მოქმედება ვრცელდება ადვოკატებზე. ადვოკატი პასუხისმგებელია იმ პირთა ეთიკურ ქცევაზე ვინც მოქმედებს ადვოკატის დავალებით ან მისი სახელით ახორციელებს ქმედებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა

ადვოკატმა მიიღო ყველა გონივრული ზომა იმისთვის, რომ ამ პირების ქცევა შესაბამისობაში ყოფილიყო ეთიკის კოდექსის მოთხოვნებთან.”

ადვოკატსა და კლიენტს შორის რწმუნებულების გაფორმების ან/და დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ადვოკატს წარმოეშობა ვალდებულება კეთილსინდისიერად დაიცვას და წარმოადგინოს კლიენტის ინტერესები მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. ადვოკატმა საქმის მიმდინარეობისას უნდა უზრუნველყოს მისი კვალიფიციურად წარმართვა და იმ საპროცესო მოქმედებების კეთილსინდისიერად შესრულება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული.

ეთიკის კომისიამ 2012 წლის 25 ივლისის გადაწყვეტილებაში, დისციპლინურ საქმეზე №096/11, განმარტა, რომ ,,ადვოკატის მიერ კეთილსინდისიერი წარმომადგენლობის განხორციელება ემყარება ადვოკატსა და კლიენტს შორის ეფექტურ კომუნიკაციას, რაც ადვოკატს აძლევს შესაძლებლობას საქმის წარმოების პროცესში შეათანხმოს დაცვის სტრატეგია კლიენტთან, მუდმივად მიიღოს კლიენტისაგან დაცვის განხორციელებისათვის საჭირო ინფორმაცია, გაითვალისწინოს კლიენტის რჩევები და ინტერესები“.

მოცემულ შემთხვევაში, შეკითხვაში მითითებულია, რომ ადვოკატი სხვას გადასცემს ვალდებულებას შეასრულოს გარკვეული პროფესიული მოქმედებები. შეკითხვაში არ ჩანს კლიენტის თანხმობა და, ამასთანავე მითითებულია, რომ მეორე პირი ვერ შეასრულებს ჯეროვნად აღნიშნული მოქმედებებს სათანადო კვალიფიკაციის არქონის გამო. შესაბამისად, გარემოებებიდან გამომდინარე, ჩანს, რომ არ სრულდება ადვოკატის ეთიკური მოვალეობა - კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.

ადვოკატი მისი მოვალეობის შესრულებას აკისრებს სხვა პირს, შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, წარმოიშობა კონფიდენციალობისა და ადვოკატის მიერ მისი დავალებით მოქმედი პირის ქმედებებზე პასუხისმგებლობის საკითხი. თუმცა, შეკითხვაში აღნიშნული გარემოებების შესახებ ინფორმაცია მითითებული არ არის და, აქედან გამომდინარე, ამ ფარგლებში საკითხები ვერ განიხილება.

შეკითხვაში პირდაპირი მითითებაა, რომ ადვოკატი არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას, არ ახორციელებს ქმედებებს, რომელიც მან უნდა შეასრულოს, ხოლო მის მიერ დავალებული პირი ვერ შეასრულებს ქმედებებს კვალიფიციურად. ამიტომ, ადვოკატის ქმედებით ირღვევა კვალიფიციური წარმომადგენლობის ეთიკური ვალდებულება.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ ასრულებს საკუთარ ვალდებულებას - არ ახორციელებს ქმედებებს, რომელიც მან უნდა შეასრულოს, ხოლო მის მიერ დავალებული პირი ვერ შეასრულებს ქმედებებს კვალიფიციურად, ამ ადვოკატის მიერ დარღვეული იქნება კვალიფიციური წარმომადგენლობის განხორციელების პრინციპი.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში, როგორც ერთ-ერთ წყარო.